

საკუთარი სახელის სემანტიკის რიგი თავისებურებანი

საკუთარი სახელი ენის ლექსიკის განუყოფელი ნაწილია და მის სიმდიდრეზე მიუთითებს.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ინტერესი საკუთარი სახელის და განსაკუთრებით ადამიანის საკუთარი სახელის, ანთროპონიმების პრობლემისადმი. აღნიშნული ფაქტი დაკავშირებულია თანამედროვე ენათმეცნიერების ანთროპოცენტრულ პარადიგმასთან, რაც გულისხმობს ენობრივი ფაქტების, მოცემულ შემთხვევაში ადამიანის სახელის (ანთროპონიმის), ანალიზს მისი მატარებლის აღქმა-გაცნობიერების მიზნით.

ანთროპონიმები წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს რგოლს, რომელიც აკავშირებს ადამიანს მის უშუალო გარემოცვასთან და საერთოდ საზოგადოებასთან. ადამიანი ცხოვრობს არა უბრალოდ სხვა ადამიანებს შორის, არამედ სახელებს შორისაც, რომლებიც ქმნიან ყოველი ადამიანის ირგვლივ გარკვეულ კონტინუუმს, განსაკუთრებულ ეროვნულ-კულტურულ სივრცეს, ერთიანს მთელი ენობრივი კოლექტივისთვის და ინდივიდუალურს მისი ყოველი ცალკეული წევრისთვის.

საკუთარი სახელის პრობლემა – მისი გენეზისის, შინაგანი სტრუქტურისა და სემანტიკის საკითხები, მისი ლინგვისტური სტატუსი ოდითგანვე იპყრობდა ენათმეცნიერთა ყურადღებას. სწორედ ამ ინტერესით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ საკუთარ სახელთა შესწავლასთან არის დაკავშირებული ლინგვისტიკის ცალკე დარგის, ონომასტიკის, არსებობა, რაც არ შეიძლება ითქვას სახელთა არცერთი სხვა ლოგიკურ-ლინგვისტური კლასის შესახებ.

ნებისმიერ მნიშვნელობის მქონე სიტყვას აქვს ორი მხარე – ცნებითი და სახელდებითი (ნომინატიური). პირველი მდგომარეობს მის შინაარსში და ცნებასთან კავშირში, მეორე კი გათვალისწინებულია სიტყვის გარკვეულ ზემოქმედებაზე და რეაქციაზე იმ პიროვნების მხრიდან, ვის მიმართაც იგი არის მიმართული.

საზოგადო სახელი მიაკუთვნებს საგანს ან საგანთა ჯგუფს კლასთან, აქვს ძირითადი კონოტაცია (კავშირი ცნებასთან) და შეიძლება ჰქონდეს დამატებითი კონოტაციები. საზოგადო სახელის მიერ დასახელებული ობიექტი (გარდა იმ ობიექტისა, რომელიც მონაწილეობს მოცემულ კონკრეტულ ენობრივ სიტუაციაში) ზოგადია.

ანთროპონიმთა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე საზოგადო სახელები, ავლენენ თავიანთ ბინარულობას – ენობრივის (ზოგადის) და სამეტყველოს (კერძოს, კონკრეტულის) ერთიანობას.

საკუთარი სახელი, როგორც ენობრივი ერთეული, არის ლექსიკური სისტემის ყველაზე უფრო აბსტრაქტული ერთეული, ხოლო როგორც სამეტყველო ერთეული, წარმოადგენს ყველაზე უფრო კონკრეტულ ერთეულს. კონკრეტული სამეტყველო აქტის გარეთ, არ უკავშირდება რა კონკრეტულ საგანს, საკუთარი სახელი ატარებს მინიმალურ ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ. ხმარებულ კონტექსტში საკუთარი სახელი აღნიშნავს ერთადერთ ობიექტს. იგი ახდენს ყველა იმ ნიშან-თვისების კონოტაციას, რომელიც ახასიათებს ობიექტს და ამგვარად გვევლინება კონკრეტულ ლექსიკურ ერთეულად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მაგრდებიან რა მეტყველებაში კონკრეტულ პიროვნებასთან თავისი ინდივიდუალური თავისებურებებით, საკუთარი სახელები გარდაიქმნებიან ხოლმე ინდივიდუალურ საკუთარ სახელებად ნიშან-თვისებათა უნიკალური ნაკრებით და მდიდარი შინაარსით, როგორც მაგალითად, მეტყველებაში გავრცელებულ ისეთ გამონათქვამებში, როგორებიცაა “ეს ხომ მარიაშია!”, ან “მარიაში მარიაშია”, სადაც საკუთარი სახელი გადმოგვცემს დახასიათებას იმ ადამიანისა, რომელსაც იცნობენ გარშემომყოფები (მარიაში მარიაშია, თავის თავს არ ღალატობს, ის ხომ ყოველთვის იგვიანებს!). ასეთ შემთხვევებში მათი მნიშვნელობა არის შექნილი მათი ხმარების თავისებურებებით. საკუთარი სახელები იძენენ საზოგადო სახელების ზოგიერთ ნიშან-თვისებას მეტყველების და არა ენობრივი

სისტემის ფარგლებში, ე. ი. საკუთარ სახელთა სემანტიკურ შევსებას განაპირობებს კონტექსტი, რომელიც უნდა იყოს რელევანტური მოლაპარაკე სუბიექტის მიმართ (და ნაწილობრივ მათ მიომართაც, ვინც აღიქვამს გადაცემულ ინფორმაციას). თუ როგორ შინაარსს უკავშირებს ენის მატარებელი საკუთარ სახელს, დამოკიდებულია იმ ცოდნის მოცულობასა და ხასიათზე, რომელიც მის განკარგულებაშია აღნიშნულ საკუთარ სახელთან დაკავშირებით, ენის მატარებლის (მოლაპარაკე სუბიექტის და მსმენელის) აქტუალურ ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და განწყობაზე.

ლაპარაკობენ რა საკუთარი სახელის მნიშვნელობაზე, რიგ მეცნიერებს შემოაქვთ ტერმინი “ენციკლოპედიური მნიშვნელობა”. ამ ტერმინში იგულისხმება ყველა იმ ნიშან-თვისებათა ერთობლიობა, რომელთაც აღიქვამენ გარშემომყოფნი კონკრეტულ საკუთარ სახელთან დაკავშირებით. ანთროპონიმის ენციკლოპედიური მნიშვნელობა ივსება ახალი თვისებებით იმისდა მიხედვით, თუ როგორ იზრდება და როგორ ავლენს თავის ინდივიდუალობას მოცემული ანთროპონიმის მატარებელი – დენოტატი. დენოტატის ნიშან-თვისებათა ცვლილებასთან ერთად იცვლება აგრეთვე მისი სახელის ლექსიკური ნიშნები, ხოლო ნებისმიერი გამოვლენა საკუთარ სახელთა სემანტიკური ვარიაციულობისა, ნებისმიერი გადახრა მათ სემანტიკაში წარმოადგენს სინამდვილეში უირის თქმას საკუთარი სახელის არსზე, გადასვლას საკუთარი სახელიდან საზოგადოზე ან თუნდაც ნაბიჯს ამგვარი გადასვლისკენ.

ენციკლოპედიური ინფორმაცია, ეს არის ობიექტის შესახებ არსებული ცოდნის ერთობლიობა, რომელიც მისაწვდომია კონკრეტული ენობრივი კოდექტივის ყოველი წევრისთვის. ანთროპონიმის ამგვარი ინტელექტუალური ინფორმაციით დატვირთვას იგი მიჰყავს თანდათანობით აპელატივაციისკენ. მაგალითად, ცნობილი ადამიანების, მითოლოგიური თუ ბიბლიური პერსონაჟების, ლიტერატურული ნაწარმოებების გმირების სახელების ხმარება საზოგადო სახელების მნიშვნელობით: ნაპოლეონები, მაკედონელები, აღმაშენებლები (დიდი მხედართმთავრები), შექსპირები (დიდი მწერლები), პიგმალიონი (საკუთარ ქმნილებაში შეყვარებული ადამიანი), ჰერკულესი (ძალიან ძლიერი ფიზიკური ძალის მქონე ადამიანი), ფენიქსი (აღორძინების, უკვდავების სიმბოლო), ჰარპაგონი (ძუნწი ადამიანი), ტარტიუფი (ფარისეველი ადამიანი), დონ ჟუანი (ქალების მოყვარული მამაკაცი), ფიგარო (გონებასამახვილი ადამიანი, რომელიც ასწრებს ყველგან ყოფნას და რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთებას), იუდა (მოლაღატე ადამიანი), ვანგა (ადამიანი, რომელიც დაჯილდოებულია ინტუიციითა და უნარით, რომ წინასწარ განჭვრიტოს ბევრი რამ), აპოლონი (ლამაზი მამაკაცი), დონ კისოტი (რიგ კულტურებში კეთილშობილი, უანგარო რაინდი).

საკუთარ სახელთა ამგვარი აპელატივაციის შემთხვევაში აღნიშნული ბევრითი კომპლექსები თითქმის ყოველთვის ემოციურად არიან შეფერილნი, ვინაიდან ისინი ინარჩუნებენ კავშირს თავდაპირველ დენოტატებთან და წარმოადგენენ მარკირებულ წევრებს სინონიმური რიგებისა: სარდალი, მოაზროვნე, მეცნიერი, მწერალი, ლიტერატურული ნაწარმოების გმირი, მითოლოგიური თუ ბიბლიური პერსონაჟი. ფართოდ ცნობილ დენოტატთა სახელებში არის ინტელექტუალური ინფორმაციის გარკვეული დოზა, რაც საშუალებას იძლევა, რომ ისინი ხმარებულნი იყვნენ როგორც კონტექსტუალური საზოგადო სახელები და ასრულებდნენ მეტყველებაში დახასიათების ფუნქციას.

შედგებად, რიგ შემთხვევებში ძალიან რთულია, ხოლო ზოგჯერ კი შეუძლებელიც ზღვრის გავლება საკუთარ და საზოგადო სახელებს შორის (1), აქედან გამომდინარე, ურთიერთკავშირი საკუთარ სახელსა და საზოგადო სახელს შორის ლოგიკურია განხილულ იქნას არა როგორც ოპოზიცია, არამედ როგორც ერთგვარი კონტინუუმი, რომლის ერთეულები აპელატივაციურობა-ონომასტიკურობის ერთგვარ სკალას ქმნიან, რომლის შესაბამისად ყოველი კონკრეტული ლექსიკური (ნომინაციური) ერთეული შეიძლება მოთავსებულ იქნას ამ სკალის განსაზღვრულ წერტილში, ახლოს ერთ თუ მეორე პოლუსთან (5).

რიგი მეცნიერებისა, უარყოფენ რა ოპოზიციურ ურთიერთკავშირს საზოგადო და საკუთარ სახელებს შორის, მათ განიხილავენ როგორც კონტრასტის ურთიერთობებს: კონტრასტულ პოლუსებს: “საკუთარი სახელი” (ობიექტის ინდივიდუალიზაციის, რეფერენციულ ფუნქციაში) – “საზოგადო სახელი” (სემანტიკურ ფუნქციაში, რომელიც მიაწერს ობიექტს გარკვეულ ნიშან-თვისებებს) – შორის ფუნქციონირებს მრავალი გარდამავალი კატეგორია, ანუ გამონათქვამები, რომლების ერთმანეთს უთავსებენ რეფერენციულ და სემანტიკურ ფუნქციებს (2).

აქვე არის აღსანიშნავი, რომ ომონიმური საკუთარი და საზოგადო სახელების კონოტაციები ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგალითად, ესპანურ ენობრივ კულტურაში საკუთარი სახელებს - Rosa და Azucena - არა აქვთ კონოტაციები, დაკავშირებული სიყვარულთან თუ სიკვდილთან, მაშინ როდესაც

ყვავილები rosa (ვარდი) და azucena (შროშანი) ხალხურ ცნობიერებაში წარმოადგენენ სიყვარულისა და სიკვდილის სიმბოლოებს.

საკუთარ სახელებს ეროვნულ სივრცეში აქვთ მდგრადი ასოციაციები და ყავთ “ეტალონური” მატარებლები. ასე მაგალითად, ჩატარებული ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის მონაცემების მიხედვით სახელი დარეჯანი ქართველთა ცნობიერებაში იდენტიფიცირდება ერთის მხრივ ვეფხისტყაოსნის გმირის, ნესტან-დარეჯანის ასოციაციით, ხოლო მეორეს მხრივ - ილია ჭავჭავაძის ნაწარმოების პერსონაჟის მიხედვით, სახელი დავითი უკავშირდება ქართველთა ცნობიერებაში პირველ რიგში დავით აღმაშენებელს (და არა ბიბლიურ მეფეს), თამარი – თამარ მეფეს.

არის შემთხვევები, როდესაც ლიტერატურული გმირების სახელები ცდებიან ეროვნული კულტურის საზღვრებს და საზოგადო მნიშვნელობას იღებენ მათ გარეთაც. აღნიშნულის ტიპური მაგალითებია: დონ ჟუანი, დონ კიხოტი, ფიგარო, გავროში და ა. შ., რომლებიც თავისი კონოტაციებით მრავალი ენის ლექსიკაში არიან ამგვარად შესული.

აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ ანთროპონიმთა დერივატიული უნარები და თავისებურებები, რომლებიც მათ განასხვავებს სხვა არსებითი სახელებისგან. შაზოგადო სახელები შედარებით იშვიათად აწარმოებენ შემოკლებულ ფორმებს, მაშინ როდესაც საკუთარი სახელების სიოსტემაში ამგვარ ფაქტებს ხშირად აქვთ ადგილი: დავითი-დათო, გიორგი-გია, მარიამი – მარი, მარო, ქეთევანი – ქეთი, ქეთო. სწორედ ამ ფორმაბიდან იწარმოება შემდგომ დათუნა, ქეთინო, მარიკა.

ანთროპონიმის ყველა ფორმის ერთობლიობა ქმნის ფუნქციონალურ პარადიგმას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთი და იგივე აღამიანი განსხვავებულ სიტუაციებში შეიძლება მოხსენიებულ იქნას ერთერთი ზემოთ აღნიშნული ფორმით: ქეთევანი, ქეთინო, ქეთი, ქეთო. ერთი და იგივე დენოტატის სახელდების აღნიშნული საშუალებები წარმოადგენენ ერთგვარ სინონიმებს. საზოგადო არსებითი სახელების სფეროში ამგვარ ურთიერთობებს თითქმის არ ვხვდებით.

რიგ შემთხვევებში სახელები და გვარები იქცევიან კონკრეტული ეთნოსის “არასაგნობრივ მესიერებად” როდესაც ქრება, დავიწყებას მიეცემა მათი თავდაპირველი მახასიათებლები, შესაბამისად, ხდება საკუთარი სახელის სრული აპელატივაცია. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ აკადემია, ლიცეუმი – ძველი ათენის ბაღები, სადაც ასწავლიდნენ პლატონი და არისტოტელე. იმისათვის, რომ ასეთ შემთხვევებში მოხდეს სრული გადასვლა საზოგადო სახელზე, თავდაპირველი დენოტატი სრულიად უნდა იქნეს დაეოწყებული.

ისეთ ანთროპონიმთა რიგში, რომელთაც სრულად აქვთ დაკარგული თავდაპირველი “მნიშვნელობა” და გარკვეული ენების მატარებლებში აღიქმებიან როგორც მხოლოდ და მხოლოდ საზოგადო სახელები, შეგვიძლია დავასახელოთ ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში ფრიად აქტუალური არსებითი სახელი “პაპარაცი”, რომელიც ფედერიკო ფელინის ცნობილი ფილმის პერსონაჟის საკუთარი სახელიდან არის ძალიან ბევრ ენაში შესული როგორც საზოგადო სახელი. იგი აღნიშნავს საკმაოდ მოხერხებულ ჟურნალისტს, რომელიც დაკავებულია ვინმეზე კომპრომატების შეგროვებით.

ენის ლექსიკაში საკუთარ სახელთა ამდაგვარი გარდაქმნა საზოგადო სახელად ხდება არც თუ იხე ხშირად და თვით ანთროპონიმის აპელატივაციის პროცესიც საკმაოდ ხანგრძლივია. წარმოებს იგი მეტყველებაში.

ლიტერატურა

1. Моя V. La traducción de los nombres propios. Madrid, 2000, 30 .
2. Бартми́нский Е. Денотация и коннотация имён собственных// Ономастика в кругу гуманитарных наук. Материалы международной научной конференции. Екатеринбург, Уральский университет, 2005, с.9
3. Рассел Б. Человеческое познание. М., 1957
4. Рылов Ю. А. Очерки романской антропонимии. Воронеж, ВГУ, 2000.
5. Толстая С. М. К понятиям апеллативации и онимизации // Ономастика в кругу гуманитарных наук. Екатеринбург, Уральский университет, 2005, 24.

რეზიუმე

საკუთარი სახელები არის ნებისმიერი ენის ლექსიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. მათი სრულიად თავისებური სემანტიკის წყალობით, ხშირად ძალიან რთულია საზღვრის გავლება საკუთარ და საზოგადო არსებით სახელებს შორის. ანთროპონიმთა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე საზოგადო სახელები, ავლენენ თავიანთ ბინარულობას – ენობრივის (ზოგადის) და სამეტყველოს (კერძოს, კონკრეტულის) ერთიანობას. საკუთარი სახელი, როგორც ენობრივი ერთეული, არის ლექსიკური სისტემის ყველაზე უფრო აბსტრაქტული ერთეული, ხოლო როგორც სამეტყველო ერთეული, წარმოადგენს ყველაზე უფრო კონკრეტულ ერთეულს. საკუთარი სახელების აპელაციაციის პროცესი წარმოადგენს ერთერთ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს თანამედროვე ონომასტიკაში, იგი წარმოებს მეტყველებაში და საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ენის ლექსიკის გამდიდრებისთვის.

Maya Tevzadze

The particular features of semantics of the proper noun

Summary

The proper nouns are an essential part of the lexical system of any language. Because of the unusual nature of their semantics, it is often very difficult to draw a boundary between proper and common nouns. One of the distinctive features of anthroponyms compared to common nouns is that they are much more revealing of their dual nature – the unity of language (common) on the one hand and speech (specific) on the other. Proper noun as a linguistic unit is the most abstract unit of the lexical system, whereas in speech it represents the most specific unit. The process of appellation of proper nouns is one of the most important issues in modern onomastics, it is used in speech and it is a very important factor for the enrichment of vocabulary.